ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N75

ქ.თბილისი 16 თებერვალი, 2021 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თევდორე ისაკაძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი

გიორგი ბირბიჩაძე

ოთარ გრიგოლია

ლევან დარახველიძე

ანა ლაშხი

მიხეილ მესხი

თინათინ ნიბლოშვილი

ვაჟა ოთარაშვილი

ნინო რუხაძე

დავით უთმელიძე

ვახტანგ შაქარიშვილი

ავთანდილ ციწცაძე

დავით ჭელიძე

ქეთევან ჯოხაძე

ლევან არველაძე

გულია გოცირიძე

ლევან დავითაშვილი

გიორგი დოხტურიშვილი

ზაზა მამალაძე

გიორგი მუსხელიშვილი

შალვა ოგბაიძე

ლევან ჟორჟოლიანი

რევაზ სოხაძე

ბორია ფირცხელიანი

გიორგი ჩაკვეტაძე

ვლადიმერ ძნელაძე

ლევან ჯაფარიძე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

რევაზ სოხაძემ, ისაუბრა კომპანია „GWP"-სთან დაკავშირებულ პრობლემებზე და ისევე, როგორც საკრებულოს წინა სხდომაზე, განაცხადა, რომ ეს კომპანია თავის მოვალეობებს ან ვერ ასრულებს, ან არ ასრულებს, რაც მუნიციპალიტეტისთვის არც ერთ შემთხვევაში არ არის მისაღები. მან სხდომაზე წარადგინა ფოტომასალა, რომლის თანახმადაც, თბილისის სხვადასხვა ქუჩებზე უკვე წლებია ღია წესით მიედინება კანალიზაცია. ესენია: ქიზიყის ქუჩის მონაკვეთი; მოსკოვის გამზირზე, დიმიტროვის დასახლება; ბარბარეს უბანი; პატარა ლილო. ხოლო ვარკეთილი 3-ში, 423-ე კორპუსთან, დაახლოებით რვა თვეა დაზიანებულია კანალიზაციის მილები, რის შედეგადაც დაზიანდა და ჩავარდა გზაც, არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის სამ კორპუსს და თუ უახლოეს მომავალში არ მოგვარდება აღნიშნული პრობლემა, გაიზრდება ამ კორპუსების ავარიულობის ხარისხი. მისი თქმით, ამ საკითხებზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს კომპანიამ, რადგან აღნიშნული პრობლემის გამო, გარდა იმისა, რომ ქალაქის ძალიან ბევრ უბანში არის ანტისანიტარია, საფრთხე ექმნება საცხოვრებელ კორპუსებს და იქ მაცხოვრებელ ადამიანებს. რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხებზე კომპანია „GWP"-სთან შედგა არაერთი კომუნიკაცია, თუმცა, მათი მხრიდან პრობლემის მოგვარების დაპირების მიუხედავად, თვეების და წლების მანძილზე ეს საკითხები რჩება მოუგვარებელი. მისი თქმით, კომპანია იქცევა უპასუხისმგებლოდ და მუნიციპალიტეტმა უნდა გადადგას შესაბამისი ნაბიჯები ამ მიმართულებით, რადგან მოსახლეობის გულისწყრომა მიმართულია სწორედ მუნიციპალიტეტისკენ.

ვახტანგ შაქარიშვილმა ისაუბრა ვაკის პარკში დაგეგმილ მშენებლობაზე და განაცხადა, რომ ამ ტერიტორიაზე აღნიშნული მშენებლობა გაუმართლებელია და მისთვის გაუგებარია, რატომ ელაპარაკება მუნიციპალიტეტი მოწიწებით „ქალაქისთვის კარგად ცნობილ ურბანულ ზონდერს", გოგა ზაქაიძეს და მის უკან მდგომ ბიზნეს-ჯგუფს და, ქვეყანაში არსებული პანდემიის და უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, რატომ უნდა გადაიხადოს თბილისმა ოცი მილიონი ლარი იმაში, რომ ლეგიტიმურად არ ვცნოთ გიგი უგულავას მიერ, 2013 წელს, კანონდარღვევით გაცემული სამშენებლო ნებართვა. მისთვის ასევე, გაუგებარია მერიის პოზიციაც, რომ თითქოს დეველოპერთან ვერ შედგა მოლაპარაკება და მუნიციპალიტეტს აღარ აქვს ამ უკანონობის შეჩერების ბერკეტი. მისი თქმით, რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს არის წინასწარ დაგეგმილი სქემა და თუ მერიის პოზიცია არ იქნება უფრო მკაფიო და მკაცრი, გაჩნდება კითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ ამ სქემაში არის მერიის მონაწილეობის ნიშნებიც. ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ თბილისის მერიამ უნდა გამოიჩინოს გამბედაობა და ამ მიმართულებით გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რაშიც, მისი თქმით, მერიის ადმინისტრაციას ექნება, როგორც საზოგადოების, ასევე, საკრებულოს მხარდაჭერა.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტი არავის ელაპარაკება მოწიწებით, თბილისის მერიის პოზიცია არის მკაფიო და ცალსახა, რომ ამ ტერიტორიაზე არ უნდა აშენდეს სასტუმრო, რასაც მხარს უჭერს საკრებულოს სრული უმრავლესობა. ხოლო, სხვა დანარჩენი არის სამართლებრივი პროცესი და იქიდან გამომდინარე, რომ ვცხოვრობთ სამართლებრივ სახელმწიფოში, გვიწევს იმ რეალობის მიღება, რომელიც დადგა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად. მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით გაგრძელდება მოლაპარაკებები და ქალაქის მერია გადაწყვეტილებას მიიღებს იმ სულისკვეთებით, რომელიც ქალაქს და მოსახლეობას გააჩნია ამ საკითხთან მიმართებაში. ოთარ გრიგოლია ასევე გამოეხმაურა რევაზ სოხაძის მიერ კომპანია „GWP"-სთან დაკავშირებით დასმულ საკითხს და განაცხადა, რომ ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა „ვერ უძლებს კრიტიკას" და ამიტომ, უმჯობესი იქნება საკრებულომ გადადგას

ქმედითი ნაბიჯები, რომლის ფარგლებშიც შედგება კომპანიასთან კომუნიკაცია, სადაც საკრებულო მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირებს თავის პოზიციას და უფრო მწვავედ დააყენებს საკითხს, რადგან აქტიური მოქმედებით უფრო მეტად იქნება შესაძლებელი კომპანიასთან შეთანხმების მიღწევა.

გიორგი დოხტურიშვილი დაეთანხმა რევაზ სოხაძის განცხადებას, რომ კომპანია „GWP"-ს მიმართულებით არსებული მდგომარეობა ძალიან მძიმეა. მისი თქმით, მიწისქვეშა კომუნიკაციების მიმართულებით, გახოკიძის, ზაქარია მხარგრძელის, ჯავახეთის ქუჩებზე, სადაც თბილისის მერიას ან რაიონის გამგეობას აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ესა თუ ის ინფრასტრუქტურული პროექტი, ურთულესი მდგომარეობაა და არსებულ დაზიანებებზე რეაგირება, უკეთეს შემთხვევაში, ხდება ერთი კვირის შემდეგ. მისი თქმით, ვარკეთილში, არაერთხელ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც სასმელი წყალი არის შოკოლადისფერი და მოსახლეობას უწევს ამ წყლის დალევა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გიორგი დოხტურიშვილმა გამოთქვა მზადყოფნა, ჩაერთოს კომპანიასთან კომუნიკაციის პროცესში და საკმაოდ მკაცრად დააყენოს ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გადაჭრის საკითხი.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს წევრებს ნებისმიერ დროს და ფორმატში აქვთ შესაძლებლობა შეხვდნენ კომპანია „GWP"-ს წარმომადგენლებს და იმსჯელონ ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გადაჭრაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი
თანამომხსენებელი: გიორგი ბირბიჩაძე

2. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

3. „ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.073.01.561) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

4. „ქალაქ თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: N72.12.01.765.04.500 და N72.12.01.765.05.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

5. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.144.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის“ (ს/კ.: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ბექარ ურუშაძეს (პ/ნ.: N01010014276) შორის 2020 წლის 18 აგვისტოს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-532-9-25327 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

9. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.14.06.003.035) და მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

10. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N194-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.011.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

11. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ.N72, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.057; N01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

12. „ქ.თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.007.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოჰაუსი, სასტუმრო, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის N1205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

13. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, დიმიტრი ბაქრაძის II შესახვევისთვის საქართველოს სახალხო არტისტის, კინორეჟისორის გიორგი შენგელაიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

14. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავჭალის რკინიგზის სადგურისთვის ქართველი სამხედრო მოღვაწის ვლადიმერ გოგუაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

15. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოფილე ჩოჩუას ქუჩისთვის საქართველოს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

16. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ექვთიმე სართანიას ქუჩისთვის იუნკერის პლატონ დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

17. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ჭირნახულის ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების დავით კობახიძისა და ნოდარ სიგუას სახელების მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

18. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დავით კაჭარავას ქუჩისთვის იუნკერის ალექსანდრე ახვლედიანის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამაში აქამდე არსებულ ორ მედიკამენტს დაემატება კიდევ ერთი პრეპარატი, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ეფექტურად წარმართვას და იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მედიკამენტი უფრო მარტივად მისაღებია ორგანიზმისთვის, პროგრამით მოსარგებლე ქალბატონებს გაუადვილებს მკურნალობას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 1341 კვ.მ. ფართის გადაცემა ორმოცდაერთი ოჯახისთვის, რომლებიც 2012 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ სოციალური ინიციატივა და პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უსახლკაროთა დახმარებას, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია და მხარს უჭერს, თუმცა ჩნდება მოსაზრება, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარეობს ქალაქის ისეთ ნაწილში, სადაც მისი ფასი არის საკმაოდ მაღალი, მათ შორის ტურისტულად და კომერციულად მიმზიდველ ზონაში, შესაძლებელია თუ არა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში განიხილებოდეს ჩანაცვლება. კერძოდ, უძრავი ქონებით მოსარგებლეების დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართით მოხდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში სხვა ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონებით, ხოლო იმ ქონების გამოყენება, რომლის რენტაბელობაც გაცილებით უფრო მომგებიანი შეიძლება იყოს ქალაქისთვის, როგორც საბიუჯეტო შემოსავლის ნაწილში, ასევე სხვა კუთხითაც, სხვაგვარად განხორციელდეს.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოსარგებლეებს საცხოვრებელ ფართებს უკანონებს იქიდან გამომდინარე, რომ ისინი ათწლეულებია ცხოვრობენ ამა თუ იმ მისამართზე და აქვთ განცდა, რომ არიან ამ ფართის მესაკუთრეები და „თეორიულად“ ასეც არის. თუმცა, ვახტანგ შაქარიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება შესაძლებელია განხილული იქნას იმ კუთხით, რომ ჩანაცვლება მოხდეს ისეთი პირობების შეთავაზებით, როგორც ეს იქნებოდა კერძო მესაკუთრის შემთხვევაში, რადგან ფიქრობს, რომ სხვა შემთხვევაში, მათ შორის, მუნიციპალიტეტის მხრიდან უკეთესი პირობების შეთავაზების შემთხვევაშიც კი, ბოლომდე არ იქნება დაცული სამართლიანობის პრინციპი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.073.01.561) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 99 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2004 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: N72.12.01.765.04.500 და N72.12.01.765.05.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 23 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.144.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 60 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის“ (ს/კ.: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების პრობლემის მოგვარებას. კერძოდ, გამოყოფილია 28273 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელზეც ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანია, 3.0 სამშნებლო კოეფიციენტის ფარგლებში, განახორციელებს მშენებლობას, რომლის დასრულების შემდეგ, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული 159 ოჯახის დაკმაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტს გადასცემს 18000 კვ.მ. საცხოვრებელ ფართს, თეთრი კარკასის მდგომარეობაში. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელების ვადა არის 7 წელი, ხოლო სამშენებლო პერიოდი მოიცავს 5 წელს და მუნიციპალიტეტისთვის ფართების გადაცემა მოხდება ხუთ ეტაპად, აშენებული წილის პროპორციულად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლსობით იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ბექარ ურუშაძეს (პ/ნ.: N01010014276) შორის 2020 წლის 18 აგვისტოს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-532-9-25327 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია აუქციონის წესით პრივატიზებული მიწის ნაკვეთის პირობის ცვლილება. კერძოდ, პირობით განსაზღვრული იყო ხე-ნარგავების შენარჩუნება, თუმცა, გასხვისების შემდეგ, მესაკუთრემ ითხოვა ხე-ნარგავების გადარგვა, რაზეც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სამსახურს აქვს დადებითი პოზიცია და აქედან გამომდინარე, ხე-ნარგავების შენარჩუნების ნაცვლად, პირობა იცვლება შემდეგი სახით: „ხე ნარგავების შენარჩუნებით ან იმავე საკადასტრო ერთეულზე გადარგვის უფლებით". აღსანიშნავია, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, აღნიშნული არ იწვევს ფასთა შორის სხვაობას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლსობით იქნა მიღებული.

8. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წინადადებები წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით: N12-032104393-03 თარიღი: 12.02.2021 და N12-032104663-03 თარიღი: 15.02.2021, რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და შესაბამისად, განსახილველად უნდა გადაიდოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N12-032104393-03 წერილით წარმოდგენილი „კ" პოზიცია, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლსობით იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.14.06.003.035) და მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 24000 კვ.მ., სადაც ტერიტორიის განვითარება ხორციელდება 2019 წელს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, კერძოდ, სარეკრეაციო ზონა 3-ის ფარგლებში, დაგეგმილია სპორტულ-საგანმანათლებლო კომლექსის განაშენიანება.

ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ ვაკის რაიონში, საცობების კუთხით, დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მიუღებელია დამატებითი მშენებლობები, რადგან აღნიშნული გამოიწვევს კიდევ უფრო მეტი ავტომობილის გადაადგილებას და ამ ტერიტორიის კიდევ უფრო გადატვირთვას. მან, ასევე, ისაუბრა დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-7 საკითხზე - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ბექარ ურუშაძეს (პ/ნ.: N01010014276) შორის 2020 წლის 18 აგვისტოს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-532-9-25327 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" და განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან გაუმართლებელია, მოქალაქე ბექარ ურუშაძეს მისცეს 19 ხის გადარგვის უფლება, რომელთაგან 17 ხე არის უნიკალური ჯიშის და შეტანილია წითელ წიგნში, რადგან არც გარანტია გვაქვს და დასკვნაშიც ბუნდოვნად არის მითითებული, რომ გადარგვის შემდეგ, შესაძლებელი იქნება მათი გახარება.

გიორგი ტყემალაძე დაეთანხმა ვაჟა ოთარაშვილის მოსაზრებას ხეების გადარგვასთან დაკავშირებით და დაინტერესდა, რატომ გადაწყდა აუქციონის პირობის ცვლილება და ასევე, ვრცელდება თუ არა აღნიშნულ არეალზე გამწვანებული ტერიტორიის ზონის სტატუსი.

დავით უთმელიძემ განმარტა, რომ გაცემული პირობის თანახმად, ტერიტორიაზე უნდა განვითარებულიყო მშენებლობა ხეების შენარჩუნებით, თუმცა ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, შეთანხმებული მშენებლობის განხორციელება, ხეების გადარგვის გარეშე, შეუძლებელია. რაც შეეხება აღნიშნული არეალის ფუნქციური ზონის სტატუსს, მასზე არ ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიის სტატუსი.

რევაზ სოხაძემ მადლობა გადაუხადა ვაჟა ოთარაშვილს, რომ აღნიშნულ საკითხზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ, როდესაც ადამიანი ყიდულობს მიწის ნაკვეთს, მასზე მშენებლობის განხორციელების მიზნით, თავიდანვე უნდა განსაზღვროს შენობა-ნაგებობის მოცულობა. ხოლო, რაც შეეხება ხეების გადარგვას, როგორც მისთვის ცნობილია, ამ კუთხით არსებობს გარკვეული შეზღუდვები და კონკრეტულ დიამეტრზე მეტი დიამეტრის მქონე ხეების გადარგვა იწვევს მათ ხმობას და იქიდან გამომდინარე, რომ ხსენებული პროექტის განხორციელებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს მწვანე ნარგავებს, დაინტერესდა, რა შეიძლება გაკეთდეს ამ მიმართულებით.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ გენ.გეგმის რუკის მიხედვით, სამშენებლო არეალი არ არის გამწვანებული ტერიტორია და მასზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3. ხოლო, რაც შეეხება გადასარგავი ხეების რაოდენობას, ასევე რუკის თანახმად, სამშენებლო ტერიტორიაზე მდებარეობს 2-3 ხე, ხოლო დანარჩენი ხეები მდებარეობს მიმდებარე საკადასტრო ერთეულზე, რომელზეც ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიის სტატუსი.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე მიღებული გადაწყვეტილების მიმართულებით, მიმდინარე სხდომაზე რაიმე ცვლილების განხორციელება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, საკრებულომ უნდა განაგრძოს ამ საკითხზე მუშაობა და თუ აღმოჩნდება, რომ უნიკალური ჯიშის ხეებს შეიძლება შეექმნას რეალური საფრთხე, სამართლებრივი სირთულეების მიუხედავად, საკრებულო აღადგენს აუქციონის პირვანდელ პირობას.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარატა, რომ აუქციონის პირობის მიხედვით, ხეების გადარგვის ვალდებულება წარმოიშვება ნებართვის აღების შემდეგ და იქიდან გამომდინარე, რომ ამ ეტაპზე ნებართვა გაცემული არ არის, შესაძლებელია საკრებულო ჩაერთოს ამ პროცესში და არქიტექტურის სამსახურთან კომუნიკაციის საშუალებით, მოაგვაროს აღნიშნული საკითხი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლსობით იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N194-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.011.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 17000 კვ.მ., სადაც 2020 წელს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის ფარგლებში, დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, რომლის 75%-ის განვითარება მოხდება საცხოვრებელი ფუნქციით, ხოლო 25%-ის - საზოგადოებრივ-საქმიანი ფუნქციით. აქვე აღნიშნა, რომ შენობის მაქსიმალური სართულიანობა იქნება 28 სართული.

ვაჟა ოთარაშვილი დაინტერესდა, წარმოდგენილი პროექტი შემოწმებულია თუ არა სეისმომედეგობაზე, რადგან, მისი თქმით, ეს ტერიტორია, სეისმური თვალსაზრისით, არის საშიში ზონა და ამასთანავე, 28 სართულიანი, მრავალფუნქციური, კომპლექსის მშენებლობა დიღომში გამოიწვევს ამ ტერიტორიაზე საცობების კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას.

ოთარ ჩიტიძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი ტერიტორია მდებარეობს დიდ დიღომში, სადაც გენ.გეგმით ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2, რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიის განაშენიანებას ინტენსივობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით. რაც შეეხება გეოლოგიურ დასკვნას, კანონმდებლობის მიხედვით, საპროექტო არეალი გამოკვლეული უნდა იქნას განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებისას და პროექტის შეწავლისას. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილია გეოლოგიური დასკვა, რომლის თანახმად, ტერიტორია გაუძლებს აღნიშნული ინტენსივობით განაშენიანებას. ოთარ ჩიტიძემ აქვე განმარტა, რომ 28 სართულიანი იქნება მხოლოდ ერთი შენობა, ხოლო დანარჩენი შენობები იქნება 18 და 25 სართულიანი.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ გეოლოგიური და კონსტრუქციული თვალსაზრისით, შენობის სიმაღლეზე საუბარი არასწორია, რადგან ნებისმიერი სიმაღლის შენობა-ნაგებობა ემყარება შესაბამის კვლევებს და თუ ტექნოლოგიები არ არის დაცული, საშიშია, როგორც 5 სართულიანი, ასევე 10 და 25 სართულიანი შენობებიც და აქედან გამომდინარე, დეველოპერმა უნდა წარადგინოს შესაბამისი კონსტრუქციული პროექტი და ექსპერტიზის დასკვნა. რაც შეეხება იმას, რომ ხსენებული მშენებლობა გამოიწვევს საცობების კუთხით არსებული მდგომარეობის გაუარესებას, განაცხადა, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის ნებისმიერი პროექტი საკრებულოს წარედგინება მხოლოდ შესაბამისი სამსახურების მიერ, როგორც სატრანსპორტო, ასევე, გამწვანების და სხვა მიმართულებებით არსებული მდგომარეობის დეტალურად შესწავლის შემდეგ. ხოლო, ზოგადად, საცობების პრობლემის მოგვარების მთავარი ბერკეტი არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრიორიტეტიზაცია და არა განაშენიანების შეზღუდვა. რევაზ სოხაძემ ასევე აღნიშნა, რომ გენ.გეგმის თანახმად, წარმოდგენილ არეალზე გავრცელებული ფუნქციური ზონის სტატუსის შესაბამისად, შესაძლებელია ტერიტორიის განვითარება მაღალი ინტენსივობით, რაც ქალაქის კომპაქტური განვითარების ნაწილია, სადაც იგულისხმება უკვე განაშენიანებული ტერიტორიების მაქსიმალური ათვისება, რათა არ მოხდეს ქალაქის საზღვრების გაზრდა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ.N72, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.057; N01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 5085 კვ.მ. წარმოდგენილი კორექტირებით პირველ სექტორში არსებულ ერთ-ერთ მიწის ნაკვეთს უერთდება ორი საკადასტრო კოდი, რის შედეგადაც იზრდება მისი ჯამური ფართი და გახდება 749 კვ.მ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლსობით იქნა მიღებული.

12. „ქ.თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.007.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოჰაუსი, სასტუმრო, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის N1205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირება ეხება მხოლოდ ერთ საკადასტრო კოდს, სადაც გათვალისწინებული აირგასამართი სადგურის განთავსების ნაცვლად, წარმოდგენილია ავტოსამრეცხაოს განვითარება, რაც შესაბამისობაშია ტერიტორიაზე არსებული ფუნქციური ზონის სტატუსთან - სატრანსპორტო ზონა 2.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლსობით იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, დიმიტრი ბაქრაძის II შესახვევისთვის საქართველოს სახალხო არტისტის, კინორეჟისორის გიორგი შენგელაიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა და განმარტა, რომ შესახვევი ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ქუჩად და შესაბამისად, საჭირო გახდა მისთვის სახელის მინიჭება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავჭალის რკინიგზის სადგურისთვის ქართველი სამხედრო მოღვაწის ვლადიმერ გოგუაძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა და აღნიშნა, რომ ვლადიმერ გოგუაძე იყო სამხედრო პირი, პოლიტიკოსი და საქართველოს ეროვნული გმირი.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ ავჭალაში არსებული რკინიგზის სადგურისთვის ვლადიმერ გოგუაძის სახელის მინიჭება მისასალმებელია და მადლობა გადაუხადა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოფილე ჩოჩუას ქუჩისთვის საქართველოს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა და აღნიშნა, რომ თეოფილე ჩოჩუა არის რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში და ჩოხატაურის ბოლშევიკური კომიტეტის წევრი, ხოლო კონსტანტინე ანდრონიკაშვილი - საქართველოს ეროვნული საბჭოს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისში, ნამალადევის რაიონში, ექვთიმე სართანიას ქუჩისთვის იუნკერის პლატონ დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა და აღნიშნა, რომ პლატონ დოლიძე დაიღუპა 1921 წლის თებერვალში, კოჯრისა და ტაბახმელის მისადგომებთან, მეთერთმეტე არმიის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ჭირნახულის ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების დავით კობახიძისა და ნოდარ სიგუას სახელების მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა და აღნიშნა, რომ დავით კობახიძე დაჯილდოვებულია მედლით მხედრული მამაცობისთვის, ხოლო ნოდარ სიგუა არის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დავით კაჭარავას ქუჩისთვის იუნკერის ალექსანდრე ახვლედიანის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ამაშუკელმა და აღნიშნა, რომ ალექსანდრე ახვლედიანი დაიღუპა 1921 წლის თებერვალში, ტაბახმელის ფრონტზე ბრძოლაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 2 დადგენილება და 16 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი